”იგი იყო ადამიანი- ”დღესასწაული”,

რომელიც ყოველთვის ჩემთან დარჩება.”

ვალერი ასათიანი

(თსუ-ს პროფესორი)

ჯანსუღ კახიძე

მისი სადირიჟორო ჯოხი იტალიის ქალაქ ბუსეტოში, ვერდის სახლ-მუზეუმში ინახება, სწორედ ამ ჯოხმა მოუტანა მას მსოფლიო აღიარება და ხალხის სიყვარული.

ჯანსუღ კახიძე დაიბადა 1936 წლის 10 იანვარს ბაღდათის რაიონში, სოფელ ობჩაში. დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი და ასპირანტურა, სტაჟირება გაიარა საფრანგეთში.

შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1955-1957 წლებში. იყო საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელას დირიჟორი და შემდეგ სამხატვრო ხელმღვანელი და დირიჟორი 1962 წლამდე. 1957 წელს ჩამოაყალიბა ვოკალური ანსამბლი ”შვიდკაცა”, რომელიც მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფილიო ფესტივალის ოქროს მედალის მფლობელი გახდა. 1962-1973 წლებში იყო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირიჟორი, ხოლო 1965-1968 წლებში- მთავარი დირიჟორი, ასევე 1982 წლიდან გარდაცვალებადე სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. 1971-1973 წლებში ლოძის(პოლონეთი) დიდი თეატრის დირიჟორი გახლდათ, მისი ხელმძღვანელობით დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა ”აბესალომ და ეთერი”. 1973 წლიდან ჯანსუღ კახიძე იყო საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. 1955 წლიდან თანამშრომლობდა კინოსტუდია ”ქართულ ფილმთან” როგორც კომპოზიტორი და დირიჟორი. მას მუსიკა აქვს შექმნილი 40-ზე მეტი კინოფილმისთვის: ”შერეკილები”- გია ყანჩელთან ერთად, ”დათა თუთაშხია”- ბიძინა კვერნაძესთან ერთად და სხვა. ასევე ვრცელი ჩამონათვალია იმ კინო-ფილმებისა, სადაც ჯანსუღ კახიძე გვევლინება როგორც მომღერალი. ჯანსუღ კახიძემ უნიკალური ნიმუშები შექმნა ქართულ სასიმღერო ხელოვნებაში, თუმცა ამის მიუხედავად თავს კომპოზიტორად არ თვლიდა.

მისი დირიჟორობით აღსანიშნავია დადგმები: რ.შტრაუსის ”სალომე”, ვ.ა. მოცარტის ”დონ ჟუანი”, გ.მუსორგსკის ” ბორის გოდუნოვი”, ჯ.ვერდის ”ტრუბადური”, გ.ყანჩელის ”და არის მუსიკა”, ბ.კვერნაძის ”იყო მერვესა წელსა”, ჯ.პუჩინის ”ჩიო-ჩიო-სანი”, ჯ.ვერდის ”დონ კარლოსი” და სხვა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი მოღაწეობა საზღვარგარეთ. მის მდიდარ რეპერტუარს ამშვენებს არა მარტო ქართული , არამედ მსოფლიო მუსიკალური შედევრებიც. აღსანიშნავია გასტროლები ამერიკის შეერთებულ შტატებში, რასაც თან ახლდა საზღვარგარეთის პრესის ფართო გამოხმაურება.

1982 წელს ჯანსუღ კახიძის ინიციატივით მოზარდთათვის ჩამოყალიბდა მუსიკის მოყვარულთა კლუბი, დაარსდა ეროვნული მუსიკალური ცენტრი. იგი არა მხოლოდ მუსიკოსებად, არამედ კარგ მსმენელებად ზრდიდა მომავალ თაობას. წლების განმავლობაში მისი

ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით ტარდებოდა შესანიშნავი მუსიკალური ფესტივალი ”თბილისური გაზაფხული”.

1975-1976 წლებში გაწეული ნაყოფიერი სადირიჟორო მოღვაწეობისთვის, 1977 წელს დაჯილდოვდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიით. ჯანსუღ კახიძეს 1978 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის, ხოლო 1985 წელს - სსრკ სახალხო არსტისტის წოდება. 1995 წელს მას გადაეცა თბილისის მერიის სპეციალური პრიზი კულტურის დარგში განსაკუთრებული მიღწევებისათვის. 1996 წელს გახდა საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი.

1989 წელს ჯანსუღ კახიძის ინიციატივითა და ძალისხმევით თბილისში გაიხსნა სიმფონიური მუსიკის ახალი დარბაზი დ .აღმაშენებლის გამზ. 125-ში. ამ დარბაზის ბაზაზე ჩამოყალიბდა თბილისის მუსიკისა და კულტურის ცენტრი, ჯანსუღ კახიძე ამ ცენტრის პრეზიდენტი გახლდათ გარდაცვალებამდე. 1993 წელს ამ მუსიკალურ ცენტრში დაარსდა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი ”შემოდგომის თბილისი”.

1993 წელს ჯანსუღ კახიძემ ჩამოაყალიბა ახალი სმფონიური ორკესტრი ”თბილისის სიმფონიური ორკესტრი”, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. მისი მეთაურობით ამ კოლექტივმა წარმატებით იმოგზაურა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში და ამავე დროს ორკესტრი აწარმოებდა აუდიო ჩანაწერებს უცხოური ხმის ჩამწერი კომპანიებისთვის.

2000 წელს ჯანსუღ კახიძემ აიხდინა დიდი ხნის ოცნება და თბილისის მუსიკალური ცენტრის ბაზაზე ჩამოაყალიბა პირველი პროფესიული ბიჭუნათა გუნდი, რომელიც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქართული კლასიკური საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში.

უზარმაზარი ენერგიითა და შრომისმოყვარეობით, დახვეწილი მუსიკალური გემოვნებითა და პროფესიონალიზმით, მრავალფეროვანი და უნიკალური რეპერტუარით აღჭურვილი ხელოვანი ჯანსუღ კახიძე ევროპის ერთ-ერთ თვალსაჩინო დირიჟორად არის აღიარებული.

ჯანსუღ კახიძე გარდაიცვალა თბილისში, 2002 წლის 7 მარტს. თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრსა და მის მიმდებარე ბაღს ეწოდა მისი სახელი. გარდაცვალების შემდეგ მას საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებამ მიანიჭა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია.

ჯანსუღ კახიძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფია, კადრების აღრიცხვის ფურცელი

1. ჯანსუღ კახიძის ავტობიოგრაფია.
   1958 წ. 20 თებერვალი ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

2. ჯანსუღ კახიძის კადრების აღრიცხვის ფურცელი.
   1985 წ. 20 თებერვალი. ბლანკი. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. ხელს აწერს ჯანსუღ კახიძე. 4 გვ.

3. საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ გაცემული ჯანსუღ კახიძის კადრების აღრიცხვის ფურცელი.
უთარიღო. 21 ივლისი. ბლანკი. ხელით შევსებული. ერთვის ფოტო. ხელს აწერს ჯანსუღ კახიძე. 4 გვ.

4. საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული, ჯანსუღ კახიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
უთარიღო. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. ხელს აწერს ჯანსუღ კახიძე. 3 გვ.

მიმართვები, დახასიათება

5. საბჭოთა სახელმწიფო საკონცერტო განყოფილების დირექტორის, ვ. ბონის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრის, ოთარ თაქთაქიშვილს, ჯანსუღ კახიძის საზღვრებს გარეთ გასტროლების შესახებ.
1966 წ. 28 დეკემბერი. სტამბური. რუსულ ენაზე. ხელს აწერს - ვ. ბონი. 1 გვ.

6. ჯანსუღ კახიძის მიმართვა "ხალხურ საკრავთა მუზეუმის" არსებობის საჭიროებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. 1 გვ.

7. თ. ბადურაშვილის მიერ გაცემული ჯანსუღ კახიძის დახასიათება სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

მოგონება

8. ჯანსუღ კახიძის დედის მოგონება.
პირი: ჯანო (ჯანსუღ კახიძე), ვარო ვარდიაშვილი.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა
წერილები ჯ. კახიძისადმი

9. დავით თორაძის პირადი ხასიათის წერილი ჯანსუღ კახიძისადმი, მისი შემოქმედებითი წარმატების შესახებ.
პირი: სულხან ნასიძე, გია ყანჩელი, ლიანა ასათიანი (დ. თორაძის მეუღლე), გუგული (დ. თორაძე).
1973 წ. 14 ოქტომბერი. დუბროვნიკი, იუგოსლავია. ხელნაწერი. 4 გვ.

10. როდიონ შჩედრინის პირადი ხასიათის წერილი ჯანსუღ კახიძის მიმართ.
1974 წ. 19 აპრილი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

11. რობერტ სტურუას პირადი ხასიათის წერილი ჯანსუღ კახიძისადმი.
1997 წ. 3 აგვისტო. ხელნაწერი. 1 გვ.

12. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სამადლობელი წერილი ჯანსუღ კახიძისადმი.
უთარიღო. ნაბეჭდი. 2 გვ.

ლექსები

13. ჯანსუღ კახიძიძისათვის გაგზავნილი ლექსი "შვიდასი წელიც", ირაკლი აბაშიძის მიერ, სიმღერის შესაქმნელად.
1979 წ. 4 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. 2 გვ.

14. ჯანსუღ ჩარკვიანის სახუმარო ლექსი, ჯანსუღ კახიძის გერმანიაში წასვლასთან დაკავშირებით.
1997 წ. 19 სექტემბერი. ხელნაწერი. 1 გვ.

საინფორმაციო ფურცელი

15. სამეფო საფესტივალო დარბაზში ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით გამართული კონცერტის საინფორმაციო ფურცელი. ერთვის ჯანსუღ კახიძის ბიოგრაფია.
1988 წ. 22 ივლისი. სტამბური. ინგლისურ ენაზე. 1 ც.

16. თბილისის მუსიკალური ცენტრის ბიჭუნათა გუნდის ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით გამართული კონცერტის საინფორმაციო ფურცელი. ერთვის ინფორმაცია ნინო ლეჟავას, ნატალია ვოლჩენკოსა და ბიჭუნათა გუნდის შესახებ.
2001 წ. 27 ივნისი. სტამბური. ქართულ და ინგლისურ ენებზე. 1 ც.

პროგრამები

17. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით გამართული კონცერტის პროგრამა.
1975 წ. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ც.

18. საბერძნეთში გამართული ფესტივალის პროგრამა, ჯანსუღ კახიძისა და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით.
2001-2002 წწ. სტამბური. ბერძნულ ენაზე. 1 ც.

19. ჯანსუღ კახიძის დაბადებიდან 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს პროგრამა. ერთვის ინფორმაცია კამერული ორკესტრის "მოსკოვის სოლისტების" შესახებ, იური ბაშმეტის, ქსენია ბაშმეტისა და ვახტანგ კახიძის ბიოგრაფიები.
2005 წ. 12 მაისი. თბილისი. სტამბური. ქართულ და ინგლისურ ენებზე. 1 ც.

20. ჯანსუღ კახიძის დაბადებიდან 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს პროგრამა.
ერთვის ინფორმაცია თბილსის სიმფონიური ორკესტრის შესახებ, ლიზა ბათიაშვილის, ფრანსუა ლილუსა და ვახტანგ კახიძის ბიოგრაფიები.
2005 წ. 15 მაისი. თბილისი. სტამბური. ქართულ და ინგლისურ ენებზე. 1 ც.

21. ჯანსუღ კახიძის დაბადებიდან 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს პროგრამა.
ერთვის ინფორმაცია თბილსის სიმფონიური ორკესტრის შესახებ, ვალერიან შიუკაშვილისა და ვახტანგ კახიძის ბიოგრაფიები.
2005 წ. 17 მაისი. თბილისი. სტამბური. ქართულ და ინგლისურ ენებზე. 1 ც.

22. ჯანსუღ კახიძის დაბადებიდან 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს პროგრამა.
ერთვის ინფორმაცია თბილსის სიმფონიური ორკესტრის შესახებ, ნატალია გუტმანისა, და ვახტანგ კახიძის ბიოგრაფიები.
2005 წ. 20 მაისი. თბილისი. სტამბური. ქართულ და ინგლისურ ენებზე. 1 ც.